საქართველოს მთავრობის

დადგენილება №534

2016 წლის 9 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №281 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის №281 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/04/2014, 010220020.10.003.017901) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს (შემდგომში – საკოორდინაციო საბჭო) შემადგენლობა:

ა) საქართველოს იუსტიციის მინისტრი, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი;

დ) საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ე) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე;

ვ) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

ზ) საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;

თ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში (სამსახური) უფროსი;

ი) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;

კ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი;

ლ) საქართველოს მთავარი პროკურორი;

მ) საქართველოს სახალხო დამცველი.

2. საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის მიღება ეთხოვოთ:

ა) საქართველოს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელს;

ბ) საქართველოს საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელს;

გ) საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელს;

დ) საქართველოში ევროსაბჭოს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს;

ე) გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს საქართველოში;

ვ) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) საქართველოს მისიის დირექტორს;

ზ) აშშ-ის საელჩოს პოლიტიკურ ოფიცერს;

თ) საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრეფიკინგის საწინააღმდეგო პროგრამის ოფიცერს;

ი) მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენელს საქართველოში;

კ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომის“ თავმჯდომარეს;

ლ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარეს;

მ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – სამოქალაქო განვითარების სააგენტოს აღმასრულებელ დირექტორს;

ნ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრის „თანადგომის“ აღმასრულებელ დირექტორს;

ო) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის ხელმძღვანელს.

3. დამტკიცდეს თანდართული საკოორდინაციო საბჭოს დებულება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**